
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

იროდიონ სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი

თბილისი (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), 2002, 400, ISBN 99928-818-5-2

იროდიონ სურგულაძემ (1893-1945) 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“. ეს იყო მისი სადოქტორო ნაშრომი, რომელიც მეცნიერმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაიცვა 1927 წელს. ეს წიგნი მეორედ გამოიცა 2002 წელს ქართულ და გერმანულ ენებზე. ის გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა (მთარგმნელი და შესავალი წერილის ავტორია ოთარ გამყრელიძე).

„ხელისუფლება და სამართალი“ მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომია. ავტორს თავიდანვე ჩაფიქრებული ჰქონდა ამ ნაშრომის ორ წიგნად გამოცემა, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, მეორე წიგნის გამოცემისათვის აღარ უზრუნია. საქმე ის არის, რომ 1930 წელს თბილისის ცნობილ დისკუსიაზე, რომელსაც მწვავე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, „ხელისუფლება და სამართალი“ ანტიმარქსისტულ, იდეალისტურ ნაშრომად გამოაცხადეს და ამის გამო ის სასტიკად გააკრიტიკეს და დაიწუნეს.

ირ. სურგულაძეს სამართლის მეცნიერებაში შემოაქვს ანტიფსიქოლოგიზმი, ანუ ანტიოციოლოგიური მეთოდოლოგია. იგი ილაშქრებდა ნატურალიზმის, როგორც გაბატონებული მეცნიერული მეთოდოლოგიის, წინააღმდეგ, რაც მაშინდელ დასავლურ აზროვნებაში გერმანელი ფილოსოფოსის ედ. ჰუსერლის მიერ შემუშავებული ფენომენოლოგიური მეთოდის საფუძველზე ხდებოდა.

მეორე მხრივ, *ირ. სურგულაძე ემიჯნება ჰ. კელზენის თეორიას, რომელიც ნეოკანტიანურ ფილოსოფიაზე იყო დაფუძნებული (ვენის სკოლა). ჰ. კელზენის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით, „სამყარო, რომელსაც სამართლისმცოდნეობა იკვლევს, არის სუბიექტური, ის მხოლოდ ადამიანურ წარმოსახვაში არსებული აზროვნების სამყაროს წარმოადგენს“ (გვ. 71).*

ირ. სურგულაძე ედ. ჰუსერლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით ერთმანეთისაგან მიჯნავს ექსპლიკაციურ მეცნიერებებს, რომლებიც რეალურ სინამდვილეს სწავლობენ, სადაც მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ბატონობს, ნორმატიული მეცნიერებებისაგან. ედ. ჰუსერლი ამტკიცებდა, რომ მეცნიერებათა ამ ორ ჯგუფს არ შეიძლება ჰქონდეს კვლევის ერთი და იგივე მეთოდი. ეს იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა სინამდვილეს სწავლობენ.

აქედან *ირ. სურგულაძე* აკეთებს დასკვნას, რომ სამართლებრივი სინამდვილე არ წარმოადგენს რეალური, სოციალური სინამდვილის უბრალო ასახვას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართალს არ ექნებოდა დამოუკიდებელი კვლევის საგანი და ის თავისთავადობას დაკარგავდა, სოციოლოგიის ან სხვა რომელიმე მეცნიერების დანამატად გადაიქცეოდა. „თუკი უფლება და მოვალეობა, — წერდა *ირ. სურგულაძე* — რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის შინაგან და არსებით შემადგენელ ნაწილს ქმნიან, წარმოდგენილი გვექნება გარკვეული ფსიქიკური პროცესების აზრით, მაშინ აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა მთლიანად უნდა დაემთხვეს ცხოვრებისეულ ურთიერთობას“ (67).

ტრადიციული სამართლებრივი დოქტრინა უფლებას ადამიანის ნების გამოვლინებად მიიჩნევს. არსებითად ამავე პოზიციიაზე დგანან ინტერესის თეორიის მომხრეებიც. *ირ. სურგულაძე* არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს, რადგან ნება, ინტერესი რეალური ცხოვრების

მოვლენაა, ხოლო უფლება სხვაგვარი, ღირებულებითი სინამდვილის გამოვლინებაა. სამართლის მეცნიერება სწავლობს არა რეალურ, არამედ ღირებულებით სინამდვილეს. ნება გრძნობითი სამყაროა, ხოლო უფლება ნორმატიულია; ნება მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას ემორჩილება, უფლების არსის დადგენა კი ამ მეთოდით შეუძლებელია.

„ჩვენ შეგვიძლია მრავალი მაგალითის მოტანა — წერს ირ. სურგულაძე — როგორც რომაული, ისე თანამედროვე პოზიტიური სამართლიდან, სადაც ნების ქონა-არქონას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შესაბამისი უფლების არსებობისათვის” (99). უფლება შეიძლება ჰქონდეს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი). უფლება რომ ინდივიდის ნების გამოვლინება იყოს, მაშინ სამართალი დაკარგავდა თავის სოციალურ დანიშნულებას და კერძო ხასიათს მიიღებდა. ქურდი, რომელიც სხვის ნივთს იპარავს, თავის ნებას ავლენს და თავის ქცევას გამართლებულად მიიჩნევს. უფრო მეტიც, ადამიანმა ზოგჯერ შეიძლება თავის კანონიერ უფლებაზე უარი თქვას, მაგრამ ამით ეს უფლება არ ქრება, უფლება მაინც უფლებად რჩება. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ “უფლება არ არის ის თვისება, რომელიც ჩვენ სულიერი ცხოვრების შემქმნელ სხვადასხვა ელემენტებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ” (109-110).

მეორე მხრივ, ნების თეორია სრულიად გამოუსადეგარია მოვალეობის არსის ასახსნელად. უფლება და მოვალეობა კორელაციური ცნებებია, ესე იგი ერთმანეთის გარეშე არ მოიაზრება. ასეთ შემთხვევაში მათი ბუნების ახსნა ერთი და იმავე მოვლენის საფუძველზე უნდა მოხდეს. მაგრამ ნებისყოფის თეორიამ კიდევაც რომ ახსნას უფლების არსი, ის ვერაფრით ვერ გამოდგება მოვალეობის არსის ასახსნელად. ჩვენ რომ ამ პოზიციაზე დავდგეთ, მაშინ მართლწესრიგი საერთოდ მოიშლებოდა, რადგან სამართლის სუბიექტთა უმრავლესობა თავის მოვალეობას არ ასრულებს.

ზემოთქმულის საფუძველზე, ირ. სურგულაძე ილაშქრებს ბუნებითი სამართლის სკოლის წინააღმდეგ. ბუნებითი სამართლის სკოლა თავისი წმინდა ნატურალისტური ხასიათის გამო ვერ ხსნის ბევრ საკითხს, რომლებიც სამართლის სფეროში წამოიჭრება. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ იურიდიული პირის პრობლემა.

ბუნებითი სამართლის სკოლას არ შეუძლია გადაწყვიტოს იურიდიული პირის პრობლემა. ამ სკოლის ისევე, როგორც ნების თეორიის წარმომადგენლები, იძულებულნი არიან, ამ შემთხვევაში მიმართონ ფიქციას და ის, რაც არ არის ფაქტი, ფაქტს, სინამდვილეს გაუთანაბრონ. რეალურად, სინამდვილეში არსებობს ფიზიკური პირი, ხოლო იურიდიული პირი რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. ამიტომ, ეს ფიქციაა.

ირ. სურგულაძე გვთავაზობს ამ საკითხის გადაწყვეტის მეტად თავისებურ და ორიგინალურ გზას, რომელიც ყოველგვარი ფიქციის გამოყენებისაგან გვათავისუფლებს. მისი აზრით, სამართლის სუბიექტის უფლება-მოვალეობით აღჭურვისათვის ერთი და იგივე თვისებებია საჭირო, მიუხედავად იმისა ფიზიკურ პირს ეხება საქმე თუ იურიდიულს. ამისათვის ადამიანის ფიზიკურ თვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და
პროცესის განყოფილების ხელმძღვანელი

გიორგი ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია

თბილისი (ბონა კაუზა), 2002, 330, ISBN-99928-844-3-6

სამართლის ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს იურისპრუდენციის შემსწავლელთა დახელოვნების პროცესისათვის, იმდენად რამდენადაც ამგვარი ინფორმაცია მათ აძლევს კანონთა თანამედროვე ფორმისა და შინაარსის გასაგებად აუცილებელი ფაქტებისა და მოვლენების განვითარების დიდ, განზოგადოებულ სურათს.

ეს ნაშრომი წარმოადგენს ლექციათა კრებულს, წაკითხულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის. იგი მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდებს ეგვიპტის, ჩინეთისა და ბაბილონის სახელმწიფოების სამართლებრივი სტრუქტურების მიმოხილვიდან თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი და პოლიტიკური მოდელის დახასიათებამდე.

ავტორი ღრმად ფლობს ვრცელსა და შინაარსობრივად მდიდარ ისტორიულ ინფორმაციას, რომელთაც იგი მკითხველს ნათელი, გასაგები და ამასთანავე, ლაკონური სტილით აწვდის. ასევე, ფართო წრის მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ტერმინოლოგიითაა აღწერილი ამა თუ იმ სახელმწიფოთა სამართლებრივი მოწყობის სისტემები და ფუნდამენტური კონცეფციები. თუმცა, ამ ტექსტის გაცნობისას შესაძლოა ზოგიერთს გაუჩნდეს ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, რაც გამოწვეული იქნება თხრობის მაქსიმალურად აღწერილობითი ხასიათის დომინირებითა და ანალიტიკური დასკვნებისა თუ მსჯელობის ნაკლებობით.

ავტორი დამაჯერებლად ახასიათებს ამა თუ იმ სამართლებრივ კონცეფციასა და მის თავისებურებას, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში სდუმს ამ კონცეფციათა და კანონთა განმაპირობებელ თუ გამომწვევ მიზეზებზე, ანუ მათ ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ რაციონალიზაციას. ასეთ ეპიზოდებში ავტორი იშველიებს ტერმინ „ისტორიულ აუცილებლობას“, როგორც მოვლენის გაანალიზებისთვის შესაფერისსა და საკმარის ახსნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის თემატიკისათვის შეუფერებლად გვეჩვენება ავტორისაგან პერიოდულად გამოყენებული ბელეტრისტიკული და ლირიკული მეტაფორები და მათ შორის ყველაზე ხშირად ნახმარი ფრაზა „ხელიხელ საგომანები მარგალიტი“, რომლის ხშირი გამოყენება მკითხველისათვის ერთგვარ გამაუცხოვებელ ფაქტორად გვევლინება. ასევე, საკამათოა წიგნის ცალკეულ თავთა ისტორიული ქრონოლოგიის უგულვებელყოფით განლაგება. მაგალითად, თავი ბიზანტიის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოსდევს მე-19 საუკუნის ბრიტანეთის შესახებ წაკითხულ ლექციას და არის ა.შ.შ.-ის სამართლისა და სახელმწიფოს მიმოხილველი ნაწილის წინამდებარე ნაწილში, რაც, ჩემის აზრით, არანაირი აუცილებლობით არ არის გამართლებული.

სხვათხრის, წიგნი წარმოადგენს მრავლისმომცველ შესავალსა და ზოგად მიმოხილვას სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში განსხეულებული მაგალითებისათვის, განსაკუთრებით ე.წ. „დიდი სურათის“ დანახვის მსურველთათვის, ანუ ამ საგნის შესწავლით დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

ნიკოლოზ რურუა

ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი
თბილისი (ბაკმი, ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა), 2002, 640, ISBN 99928-910-3-3

გადასახადები, მათი ეკონომიკური გაანგარიშება, სამართლებრივი რეგლამენტირება — საგადასახადო სამართალი, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიმდევარი სახელმწიფოს ეს აუცილებელი ატრიბუტი, საქართველოში სწორედ ახლა მკვიდრდება. ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს უამრავი (ხშირად საერთოდ გაუმართლებელი) ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში და რთული საგადასახადო სისტემა. გადასახადის დაწესებისა და მისი გადახდის კულტურის არარსებობა ხშირად ზემოაღნიშნულ ფაქტორებს უკავშირდება. მდგომარეობას ართულებს საგადასახადო სფეროში ლიტერატურის სიმცირეც და თითოეული ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი უდავოდ პიზიტიური იქნება. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოცემულ დარგში სიცხადისა და რაციონალურობის შეტანას.

ზვიად როგავას მონოგრაფიული ნაშრომი „გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი“ წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტიპის გამოკვლევას, რომელიც საწყის ეტაპზე დაინტერესებს როგორც საგადასახადო სამართლის შემსწავლელ სტუდენტებს, ისე ფისკალური კონტროლის, საგადასახადო, საბაჟო და საფინანსო სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებს. ნაშრომი აგრეთვე სასარგებლო იქნება სამეწარმეო სექტორისათვის.

წიგნში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს საგადასახადო სისტემას, საგადასახადო სამართლის თეორიას, წყაროებს, კონკრეტული გადასახადების სახეებსა და შინაარსს, სამართლებრივი რეგულირების მეთოდებსა და პასუხისმგებლობის ფორმებს. ცალ-ცალკეა აღწერილი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას გამოყენებულია კაზუსები, მაგალითები, რომლებიც უნდა აადვილებდეს ნორმის პრაქტიკული დანიშნულების აღქმას, მაგრამ კანონის დებულებების აღწერისას ავტორის მიერ გამოყენებული თხრობის ფორმა შედარებით რთულია და ემსგავსება კანონის სტილს, ან ხდება ამა თუ იმ ნორმატიული აქტის დებულების პირდაპირი ციტირება.

მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეხება საერთაშორისო საგადასახადო სამართლის ძირითად პრინციპებს, ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობისათვის არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს. აღნიშნული ნაწილი უფრო აღწერილობითი ხასიათისაა და მიმოიხილავს იმ წინაპირობებს, საფუძვლებსა და რეგულირების მეთოდებს, რომელსაც ეყრდნობა და რომლითაც ოპერირებს საერთაშორისო საგადასახადო სამართალი.

ავტორი მიმართავს ძირითადად რუსულენოვან ნაშრომებს, მოსაზრებებს, რომლებიც უდავოდ საინტერესოა, მაგრამ საკითხის უფრო ღრმად და მრავალმხრივად შესწავლით დაინტერესებული სტუდენტებისთვისა და მკვლევართათვის, ასევე შედარებითი სამართლის კუთხით, ინფორმაცია ზოგჯერ მწირი და არასრულყოფილია. მაგალითად, თავები, რომლებიც ეხება საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებს, ევროპის ქვეყნების, იაპონიის, ჩინეთის, აშშ-სა და კანადის თანამედროვე გადასახადებს, მხოლოდ ზედაპირულად არის განხილული და ვხვდებით როგორც ტერმინოლოგიურ, ასევე შინაარსობრივ უზუსტობებს (მაგ.: ტერმინი „კორპორაცია“ (486) წარმოიშვა არა ინგლისური „corporation“-ისაგან, არამედ — ლათინური სიტყვა „corporatio“-საგან და ნიშნავს არა შეზღუდული პასუხისმგებლობის სააქციო საზოგადოებას, არამედ — პროფესიონალური ან მსგავსი ინტერესებით გაერთიანებულ პირთა ჯგუფს. საერთო სამართლის ქვეყნებშიც, სადაც დამკვიდრდა ეს ტერმინი, არ არსებობს მისი ერთიანი განმარტება და კაპიტალის აქციების სახით არსებობა არის კორპორაციის ერთ-ერთი და არა აუცილებელი ატრიბუტი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების, საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო სამართლის კურსის შესწავლის დამწყებთათვის სახელმძღვანელო საკმაოდ სასარგებლოა.

დავით ბაზერაშვილი